



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,  
ელ. ფოსტა: [tsagerisakrebulo@gmail.com](mailto:tsagerisakrebulo@gmail.com)

## ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 15  
07/04/2021

15-06-4-202104071336



### ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში /დანართი თან ერთვის/.
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
3. ყურადღება მიექცეს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვას და საეზერვო ფონდის ხარჯვა იყოს უფრო ეფექტური და გამჭვირვალე.
4. მოხდეს აიპების რეორგანიზაცია და ფუნქციურად დატვირთვა.
5. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას მეტი ყურადღება დაეთმოს ინფრასტრუქტურული პროექტების სწორად დაგეგმვასა და მოცემულ ვადებში შესრულებას.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე  
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განმარტებითი ბარათი  
ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის წლიური ბიუჯეტის  
შესრულების შესახებ

---

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის #26 დადგენილებით და განისაზღვრა 7228.5 ათ. ლარით. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში განხორციელდა 13 ცვლილება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის განაწილებით, ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი თანხების ასახვით და ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში წლიურ საგეგმო მაჩვენებელზე მეტობით შემოსული თანხების ბიუჯეტში ასახვით და პრიორიტეტებზე გადაანაწილებით. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტმა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების გათვალისწინებით შეადგინა 14536.64 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენდა 12676.9 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 12088.8 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 95,4 %-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 400.0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 684.8 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 171.2%-ით, დღგ-ს გეგმა იყო 6453.5 ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი 5746.6 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 89.0 %-ით.

გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 5523.1ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 5350.9 ათ ლარი, ანუ გეგმის 96.9 %, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 692.9 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 278.3 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 40.2 %-ით, კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 4797.5 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 4822.4 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 99.8 %-ით. სხვა ტრანსფერების გეგმა იყო 65.6 ათ.ლარი შემოსულია 65.6 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 100,5%-ით.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 300.3 ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 306.4ათ. ლარი ,გეგმა შესრულდა 102 %-ით, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 50.0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 74.3 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 148.6 %-ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 5,0 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 10.6 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 212%-ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 23,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 34.7 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 150.9%-ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 20.0ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 14.6 ათ. ლარი ანუ გეგმის 73 %, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა იყო 61.8 ათ.ლარი და ფაქტიურად შემოსულია 173.6 ათ.ლარი გეგმა შესრულდა 111.8 %-ით. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალის გეგმა შესრულდა 103.3 %-ით. (გეგმა 165 ათ.ლარი, ფაქტი 170.5 ათ.ლარი) .

გაწეული ხარჯებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 680 ათ. ლარი, დაიხარჯა 652.5, ათ. ლარი, ათვისებული იქნა 95.9 %. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 1757.4 ათ ლარი, დაიხარჯა 1690ათ ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 96.2 %-ით. თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღივხვისა და გაწვევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 96,9%, ( გეგმა -63.7 ათ. ლარი, ფაქტი - 61.7 ათ. ლარი).

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 8620.1 ათ.ლარით და დაფინანსდა 6752.0 ათ.ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 2798.3 ათ.ლარით, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 205.1 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 1381.5 ათ. ლარით ,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 406.2 ათ.ლარით, ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 448.4 ათ. ლარი, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯია 42.9 ათ.ლარი, კომუნალური მომსახურეობა დაფინანსდა 521.3ათ.ლარით, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 511.4 ათ.ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 210.4 ათ.ლარით. დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 202.0 ათ.ლარით.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 97.3%-ით ( გეგმა 759.4 ათ ლარი, ფაქტი - 739 ათ. ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 97.2%-ით (გეგმა -699.8 ათ. ლარი, ფაქტიური - 679.9 ათ. ლარი). მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 99.2 %-ით (გეგმა -59.6 ათ. ლარი, ფაქტიური 59.1 ათ. ლარი).

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო 1622.5 ათ.ლარით და დაფინანსდა 1590.4ათ ლარით,გეგმა შესრულდა 98.2%-ით. მათ შორის: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 98.1%-ით, (გეგმა 222. ათ.ლარი, ფაქტი 217.7 ათ.ლარი), საფეხბურთო კლუბი „ხვამლი,, დაფინანსდა 100.0%-ით (გეგმა 82ათ.ლარი, ფაქტი 82ათ.ლარი),ფრენბურთის კლუბი ცაგერი დაფინანსდა 97.5 %-ით (გეგმა 125.8ათ.ლარი,ფაქტი 122.6 ათ.ლარი) კულტურის ცენტრი დაფინანსდა 98.2%-ით, (გეგმა 274ათ. ლარი ფაქტი269 ათ.ლარი)მუზეუმი და გალერეა დაფინანსდა 99.5%-ით (გეგმა 161ათ. ლარი, ფაქტი 160.3ათ.ლარი) სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 99%-ით (გეგმა 70.6თ.ლარი, ფაქტი 69.9ათ.ლარი) სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 100.0%-ით (გეგმა 50.4 ათ. ლარი, ფაქტი 50.45ათ.ლარი), ბიბლიოთეკები დაფინანსდა 100 %-ით (გეგმა - 162.2 ათ ლარი, ფაქტიური - 162.2ათ. ლარი),კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (წმ.მაქსიმე აღმსარებლის სადღესასწაულო ღონისძიებები და ლადობა) დაფინანსდა 66.1 %-ით, (გეგმა 28 ათ.ლარი, ფაქტი 18.5ათ.ლარი), რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსდა 86%-ით (გეგმა 20ათ.ლარი ფაქტი 17.2ათ.ლარი), „ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი" დაფინანსდა 98.4%-ით (გეგმა 56.8ათ.ლარი, ფაქტი 55.9 ათ.ლარი),ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 98.2%-ით, (გეგმა 50ათ.ლარი, ფაქტი 49.1ათ.ლარი),ა(ა)იპ ახალგაზრდობის,

საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი დაფინანსდა 99,4%-ით (გეგმა 197.1ათ.ლარი,ფაქტი 195.9 თ.ლარით), ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 113.1ათ.ლარი, ფაქტი 113.1 ათ.ლარი).

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 99.6,0%-ით (გეგმა 567.8,0ათ.ლარი ფაქტი 565.4ათ.ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 97.8%-ით (გეგმა 97 ათ. ლარი, ფაქტი 94.9 ათ.ლარი) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 346.6 ათ. ლარი, 346.6 ათ.ლარი). უფასო სასაბილოები დაფინანსდა 99.8 %-ით (გეგმა 124.2ათ.ლარი ფაქტი 124ათ. ლარით).

განმარტებით ბარათს თან ახლავს

დანართი 1- ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ბალანსი

დანართი 2-ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის შემოსულობები

დანართი 3 -ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020წლის გადასახდელების შესრულება

დანართი 4-ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

დანართი 5-ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვა

დანართი 6-ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯვა

დანართი 7-ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოფილი თანხები.

დანართი 8- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

დანართი 9 - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები

დანართი 10 - ა(ა)იპ ების 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება

დანართი 11 -ა(ა)იპ ების 2020 წლის საკუთარი შემოსავლების შესრულება

დანართი 12 - ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთები 2020